# სამოქალაქო საზოგადოება

ინოვაციებისა და სამოქალაქო
განვითარების ცენტრი
„პროგრესის სახლი“

საგაზეთო ჩანართი №1, 2024 წ.

თქვენ წინაშეა საგაზეთო ჩანართი, რომელიც მომზადებულია პროექტის – **„მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება დემოკრატიული პროცესების მხარდასაჭერად“** ფარგლებში. პროექტს ახორციელებს **ოზურგეთის ინოვაციებისა და სამოქალაქო განვითარების ცენტრი – პროგრესის სახლი.**

გამოცემაში პერიოდულად წარმოგიდგენთ პუბლიკაციებს, სხვადასხვა დროსა და სივრცეში შექმნილ ნაშრომებს სამოქალაქო საზოგადოებისა და დემოკრატიული ღირებულებების შესახებ. ჩვენი მიზანია, მკითხველს წარმოვუდგინოთ ქართველი და უცხოელი ავტორების მოსაზრებები სამოქალაქო ფასეულობების როლსა და მნიშვნელობაზე

***პროექტის გუნდი.***

## საქართველო ევროკავშირის წევრობის კანდიდატია!

2023 წლის 14 დეკემბერს, რთული, დაძაბული დღის ბოლოს, ევროპულმა საბჭომ საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიანიჭა. ეს ფაქტი იზეიმა მთელმა ქვეყანამ, მოგვილოცეს ევროკავშირის ლიდერებმა.

**საქართველოში ევროკავშირის ელჩმა პაველ ჰერჩინსკიმ თბილისში, თავისუფლების მოედანზე შეკრებილ ხალხს ქართულ ენაზე მიმართ**ა. მან აღნიშნა: „საბოლოო მიზანი ევროკავშირის წევრობაა. ამიტომ ახლა დროა, პოლიტიკურმა ლიდერებმა აღასრულონ ხალხის ნება და სწრაფად გაატარონ რეფორმები. საქართველოს სახელმწიფოს გერბზე წერია – ძალა ერთობაშია. დღეს ჩემი მთავარი გზავნილიც სწორედ ეს არის — ახლა ევროპული მომავლისთვის გაერთიანების დრო!

თითოეული თქვენგანი საქართველოს თანამედროვე ისტორიას ქმნის.

ევროკავშირის წევრობა მოიტანს მშვიდობას, სტაბილურობას და ეკონომიკურ კეთილდღეობას თქვენთვის, თქვენი ოჯახებისა და მომავალი თაობებისთვის. თავის მხრივ, საქართველოს უნიკალური კულტურა და ტრადიციები ევროკავშირს მრავალფეროვნებას შემატებს.

ეს დღე ძალიან ემოციურია ჩემთვის და ჩემი გუნდისთვის. მიხარია, რომ ამ დღეს ერთად ვზეიმობთ.

კიდევ ერთხელ გილოცავ, “საქართველო, ლამაზო, სხვა საქართველო სად არის?”

**წინ, საქართველო, წინ!“**

გასული 2023 წელინადი განსაკუთრებული იყო ჩვენი ქვეყნისათვის და ორმაგად გამორჩეული ჩვენთვისაც – 30 წლის გავხდით. მოხარული ვართ, რომ ეს თარიღი დაემთხვა ჩვენი ქვეყნის ისტორიაში ერთ-ერთ საუკეთესო გამარჯვებას – საქართველოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი მიენიჭა.

ეს საუკეთესო საჩუქარია ჩვენი მონიფულობის ასაკის იუბილეზე და ოდნავ სიმბოლურიც... დაარსების დღიდან ვპასუხობდით ქვეყნის სწრაფვას ევროატლანტიკური მიმართულებით.

ჩვენი მიზანი თავიდანვე იყო დავხმარებოდით რეგიონში სამოქალაქო, საჯარო და ბიზნეს სექტორების განვითარებას თანამედროვე და ეფექტური საგანმანათლებლო-საკონსულტაციო მომსახურებით, რეგიონის სტრატეგიული განვითარების პრიორიტეტების გათვალისწინებით, ინოვაციური პროექტების ინიციირებითა და განხორციელებით. ისევე, როგორც მთელი ქვეყნისა და თითოეული ქართველის, ჩვენი წვლილიცაა ამ სტატუსში. ამიტომ გვახარებს ამ თარიღების სიმბოლური დამთხვევა. გისურვებთ პირად წარმატებებს, სიხარულს და რაც მთავარია, გავერთიანდეთ, ერთად გვეპოვოს უმოკლესი გზა სტატუსიდან ნევრობამდე!

## ევროკომისიის 9 დათქმა

ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი 9 დათქმით მოგვენიჭა. ევროკავშირი გვირჩევს იმ სფეროების რეფორმირებას, რომლებიც აუცილებელია საქართველოს, როგორც სახელმწიფოს, უკეთესად ფუნქციონირებისათვის და მოსახლეობის ინტერესების დასაცავად. რეკომენდაციების სრულყოფილად განხორციელებისთვის ერთადერთი პასუხისმგებელი მხარე საქართველოს მოქმედი ხელისუფლებაა.

საქართველოს „საშინაო დავავლება“ სტატუსიდან წევრობამდე ასეთია:

- ევროკავშირისა და მისი ღირებულებების შესახებ დეზინფორმაციასთან, უცხოურ საინფორმაციო მანიპულაციებთან და [უცხოურ] ჩარევასთან ბრძოლა;
- ევროკავშირის საერთო საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკასთან საქართველოს საგარეო პოლიტიკის თანხვედრის მაჩვენებლის გაუმჯობესება;
- პოლიტიკური პოლარიზაციის წინააღმდეგ დამატებით ბრძოლა, მათ შორის – პარლამენტში ოპოზიციურ პარტიებთან უფრო ინკლუზიურად მუშაობის გზით, განსაკუთრებით საქართველოს ევროინტეგრაციასთან დაკავშირებულ კანონმდებლობაზე;
- თავისუფალი, სამართლიანი და კონკურენტუნარიანი საარჩევნო პროცესის უზრუნველყოფა – განსაკუთრებით 2024 წელს – და ეუთოს დემოკრატიული

**ევროკავშირი საქართველოში**

**ევროკავშირი ისწრაფვის**
- **ერთიანი**
- **მდგრადი**
- **წარმატებული**
- **დემოკრატიული**

**საქართველოსკენ**

ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის რეკომენდაციების სრულად გათვალისწინება. საარჩევნო რეფორმების დასრულება, მათ შორის ამომრჩეველთა ადეკვატური წარმომადგენლობის უზრუნველყოფა არჩევნებამდე დიდი ხნით ადრე;

- საპარლამენტო ზედამხედველობის შემდგომი გაუმჯობესება, განსაკუთრებით უსაფრთხოების სამსახურებზე. საკვანძო ინსტიტუტების, განსაკუთრებით საარჩევნო ადმინისტრაციის, ეროვნული ბანკისა და კომუნიკაციების მარეგულირებელი კომისიის ინსტიტუციური დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა;
- ყოვლისმომცველი და ეფექტური სასამართლო რეფორმის დასრულება და განხორციელება, მათ შორის იუსტიციის უმაღლესი საბჭოსა და პროკურატურის ყოვლისმომცველი რეფორმის განხორციელება, ვენეციის კომისიის რეკომენდაციების სრულად შესრულება გამჭვირვალე და ინკლუზიური პროცესის გზით;
- ანტიკორუფციული ბიუროს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურისა და პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურის ეფექტურობისა და ინსტიტუციური დამოუკიდებლობისა და მიუკერძოებლობის უზრუნველყოფა. ამ ორგანოებთან დაკავშირებით ვენეციის კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინება. კორუფციისა და ორგანიზებული დანაშაულის შემთხვევების ეფექტური გამოძიების ძლიერი გამოცდილების დაგროვება;
- დეოლიგარქიზაციის შესახებ არსებული სამოქმე-

# ევროკომისიის 9 დათქმა

დო გეგმის გაუმჯობესება, რათა დეოლიგარქიზაცია განხორციელდეს მრავალ სექტორული, სისტემური მიდგომით, ვენეციის კომისიის რეკომენდაციების შესაბამისად და გამჭვირვალე და ინკლუზიური პროცესის შედეგად, ოპოზიციური პარტიებისა და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით;

- ადამიანის უფლებების დაცვის სტანდარტების გაუმჯობესება, მათ შორის, ადამიანის უფლებების ამბიციური სტრატეგიის მიღებითა და შეკრებისა და გამოხატვის თავისუფლების უზრუნველყოფით. მოწყვლადი ჯგუფების, მედიაპროფესიონალებისა და სამოქალაქო აქტივისტების მიმართ მუქარის ფაქტებზე მიუკერძოებელი, ეფექტური და დროული გამოძიების დაწყება და ძალადობის ორგანიზატორებისა და დამნაშავეების პასუხისგებაში მიცემა. სამოქალაქო საზოგადოებასთან კონსულტაციების გამართვა, მათი ჩართულობის უზრუნველყოფა კანონშემოქმედებით და პოლიტიკის შემუშავების პროცესში და მათი თავისუფლად მუშაობის უზრუნველყოფა.

აღსანიშნავია, რომ ბლოკში გაერთიანებისკენ ამ დროისთვის 10 ქვეყანა ისწრაფვის. ეს ქვეყნებია: საქართველო, უკრაინა, მოლდოვა, ალბანეთი, ბოსნია და ჰერცეგოვინა, კოსოვო, მონტენეგრო, ჩრდილოეთ მაკედონია, სერბეთი და თურქეთი. ევროკავშირის კანდიდატის სტატუსი შემდეგ 6 ქვეყანას აქვს მინიჭებული: ალბანეთს, ბოსნია და ჰერცეგოვინას, მონტენეგროს, ჩრდილოეთ მაკედონიას, სერბეთსა და თურქეთს. ორ ქვეყანასთან – უკრაინასა და მოლდოვასთან უკვე დაიწყო მოლაპარაკებები გაწევრიანების შესახებ.

ნდობაზე დამყარებული გაფართოების პოლიტიკა გეოსტრატეგიული ინვესტიციაა ევროპაში **მშვიდობის, სტაბილურობის,** უსაფრთხოებისა და კეთილდღეობის დასამკვიდრებლად. ის ეფუძნება სამართლიან და მკაცრ პირობებს და დამსახურებაზე დაფუძნებულ პრინციპს. ის კანდიდატი ქვეყნებისგან მოითხოვს კომპლექსური რეფორმების განხორციელებას მრავალ ისეთ სფეროში, როგორიცაა კანონის უზენაესობა და ეკონომიკა, და მათი კანონმდებლობის ევროკავშირის კანონთა კრებულთან შესაბამისობას. იმავე დროს, კანდიდატი ქვეყნებისგან მოელიან საკუთარი ადმინისტრაციული სტრუქტურების შექმნას. უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება კარგ სამეზობლო ურთიერთობებს და რეგიონულ თანამშრომლობას.

ყოველ წელს ევროკომისია წარადგენს გაფართოების კომუნიკეს, სადაც განერილია გაფართოების პროცესთან დაკავშირებული რეკომენდაციები და ცალკეული ანგარიშები. ანგარიშებში დეტალურადაა შეფასებული კანდიდატების და პოტენციური კანდიდატების საქმეთა მდგომარეობა და პროგრესი, რომელსაც ევროკავშირისკენ მიმავალ გზაზე მიაღწიეს. ეს შეფასება კონცენტრირდება ფუნდამენტური რეფორმების შესრულებაზე და, ასევე, მოიცავს ზედმიწევნით მითითებებს სამომავლო სარეფორმო პრიორიტეტებზე. კომუნიკე და ანგარიშები ერთად „გაფართოების პაკეტს“ შეადგენს

## ევროკავშირში გაწევრიანების ძირითადი ეტაპები

**1.** ქვეყანა წარადგენს განაცხადს საბჭოში (ევროკავშირის წევრი სახელმწიფოებისთვის).

**2.** კომისია წარადგენს მოსაზრებას განაცხადის შესახებ.

**3.** ევროკავშირის წევრი სახელმწფოები იღებენ ერთსულოვან გადაწყვეტილებას ქვეყნისთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭების შესახებ

**4.** ქვეყნის მიერ პირობების დაკმაყოფილების შემდეგ, წევრი სახელმწიფოები (ერთხმად) თანხმდებიან გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებების დაწყებაზე.

**5.** ევროკომისია, წევრი სახელმწიფოების თხოვნით, წარადგენს მოლაპარაკების საწყის ჩარჩოს, როგორც მოლაპარაკებების საფუძველს. გაწევრიანების შესახებ მოლაპარაკებები ფორმალურად მას მერე იწყება, რაც წევრი სახელმწიფოები მოლაპარაკების ჩარჩოზე შეთანხმდებიან.

**6.** მოლაპარაკებების დროს, რომლებიც დაყოფილია ბლოკების და თავების მიხედვით, ქვეყანა ევროკავშირის კანონების და სტანდარტების დასანერგად ემზადება.

**7.** ყველა საკითხზე მოლაპარაკებების დასრულებისთანავე ევროკომისია ქვეყნის ევროკავშირში გაწევრიანების მზაობაზე თავის მოსაზრებას წარადგენს.

**8.** ამ მოსაზრების საფუძველზე ევროკავშირის წევრი სახელმწიფოები იღებენ ერთსულოვან გადაწყვეტილებას მოლაპარაკების პროცესის დასრულების შესახებ. საკუთარი თანხმობა უნდა განაცხადოს ევროპარლამენტმაც.

**9.** ევროკავშირის ყველა წევრი სახელმწიფო და კანდიდატი ქვეყანა ხელს აწერენ და ამტკიცებენ გაწევრიანების ხელშეკრულებას, რომლის საფუძველზეც ქვეყანა ევროკავშირის წევრი ხდება.

© ევროკავშირი, 2023

## ევროკავშირის დაფინანსება

ევროკავშირი საქართველოს უმსხვილესი ფინანსური მხარდამჭერია. ევროკავშირი ხელს უწყობს საქართველოს სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას და რეფორმებს, რისთვისაც ქვეყანას ფინანსურად და ტექნიკურად სამეზობლოს, განვითარების და საერთაშორისო თანამშრომლობის ინსტრუმენტის (NDICI) მეშვეობით ეხმარება.

2021-2024 წლებისთვის საქართველოსთვის გამოყოფილმა დაფინანსებამ 340 მილიონ ევროს უნდა მიაღწიოს. პრიორიტეტული სფეროებია ეკონომიკა, ინსტიტუტები, კანონმდებლობა, უსაფრთხოება, გარემოს დაცვა და კლიმატის მდგრადობა, ციფრული გარდაქმნა, გენდერული თანასწორობა და ინკლუზიური საზოგადოება.

## ვაჭრობა და ინვესტიციები

2022 წელს საქართველოში ევროკავშირის პირდაპირი უცხოური ინვესტიციების ოდენობამ 819 მილიონ ევროს მიაღწია.

ევროკავშირთან საქონლით ვაჭრობის მთლიანი მოცულობა 4.2 მილიარდი ევრო იყო.




## ადამიანური კაპიტალი და ინოვაცია

11,000+ მონაწილე ჩაერთო ევროკავშირსა და საქართველოს შორის გაცვლით პროექტებში განათლების, ტრენინგის, ახალგაზრდობისა და სპორტის სფეროებში, ERASMUS+ პროგრამის ფარგლებში (2014-2020).

ევროკავშირმა სამოქალაქო საზოგადოების მხარდასაჭერად 22.5 მილიონი ევრო გამოყო (2015-2022).

ევროკავშირი და საქართველო ევროკავშირთან საზღვრებს შორისი ე-კომერციის 50%-ით გასაზრდელად საპილოტე პროექტებს ახორციელებენ.

## ეკონომიკური და საინვესტიციო გეგმა

აღმოსავლეთ პარტნიორობისთვის 2021 წელს შემუშავებული ეკონომიკური და საინვესტიციო გეგმა (EIP) საერთაშორისო ფინანსურ ინსტიტუტებთან თანამშრომლობით 2027 წლამდე 17 მილიარდამდე ევროს მობილიზებას ისახავს მიზნად. საქართველოსთვის შემუშავებული EIP-ის ფარგლებში, ევროკავშირმა უკვე მოაგროვა **1.7 მილიარდი ევროს** ოდენობის ინვესტიციები, რომელთაგან 194 მილიონინევრო გრანტების სახით გაიცა.

მაგალითად, საფლაგმანო ინვესტიციები ხმარდება:

- საქართველოს 80,000 მცირე და საშუალო საწარმოს მხარდაჭერას
- შავ ზღვაში წყალქვეშა ოპტიკურ-ბოჭკოვანი კაბელისა და ელექტროკაბელის განთავსებას
- ევროკავშირისა და საქართველოს დასაკავშირებლად შავ ზღვაზე რეგულარული საბორნე მიმოსვლის უზრუნველყოფას
- საჯარო და საცხოვრებელი შენობების ენერგოეფექტიანობის გაუმჯობესებას
- ციფრული კავშირი მოქალაქეებისთვის – 1000 სასოფლო თემის სწრაფი ფართოზოლოვანი ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა.

ევროკავშირის დახმარებით, ქართლში ფონდის, „მწვანე ზრდისთვის“, მეშვეობით აშენდა ქარის ელექტროსადგური, რომელიც პირველია კავკასიის რეგიონში და მიზნად **კლიმატის ცვლილების** შერბილებასა და **მდგრადი ეკონომიკური** ზრდის წახალისებას ისახავს.

© ევროკავშირი, 2023

## ამომრჩევლის სამახსოვრო

➲არჩევნები ფარულია და ვერავინ გაიგებს ვის მიეცით ხმა!

➲საარჩევნო ელექტრონული სისტემის საშუალებით არჩევნების შედეგები ქვეყნის მასშტაბით, გვეცოდინება, ხმის მიცემის შეწყვეტიდან, ერთ-ორ საათში. შესაბამისად – ხმებს ველარ „გადათვლიან“.

➲ამომრჩევლის რეგისტრაციისა და ხმების დათვლის ელექტრონული სისტემის პროგრამულ უზრუნველყოფას აკეთებს საერთაშორისო, რეიტინგული ორგანიზაცია, და ნაკლებად მოსალოდნელია, რომ მოხდეს უკანონო მანიპულირება.

➲არჩევნების დღეზე მეტად არჩევნები ყალბდება სააგიტაციო პერიოდში, როცა უკანონო წესებით ზემოქმედებენ ამომრჩევლის ნებაზე – მოსყიდვა, დაშინება, ადმინისტრაციული რესურსის გამოყენება... ვიმოქმედოთ სინდისის კარნახით. ჩვენზეა გადაწყვეტილების ბედი.

➲ამ პირობებშიც კი, ხელისუფლების შეცვლის დიდი სურვილი თუ გაჩნდა ამომრჩეველში, შედეგებში დიდი სხვაობის შემთხვევაში, მმართველ პარტიას ვერ უშველის ვერც ადმინისტრაციული რესურსი, ვერც ამომრჩეველთა დაშინება.

➲ყველაფერი დამოკიდებულია ამომრჩეველზე!!!

ინოვაციების და სამოქალაქო განვითარების ცენტრი „პროგრესის სახლი“

ჩანართი მომზადდა პროექტ „მოქალაქეთა ცნობიერების ამაღლება დემოკრატიული პროცესების მხარდასაჭერად“ ფარგლებში. აღნიშნული პროექტი დაფინანსებულია (National Endowment for Democracy) NED-ის მიერ. გამოცემაში გამოთქმული მოსაზრებები შესაძლოა არ ასახავდეს (National Endowment for Democracy) NED -ის პოზიციას.

NED NATIONAL ENDOWMENT FOR DEMOCRACY SUPPORTING FREEDOM AROUND THE WORLD